ანა სანიკიძე

ასაკი: 16 წლის

სკოლის დასახელება: სსიპ. ნიკო ნიკოლაძის სახელობის N 2 საჯარო სკოლა

კლასი: X

ჩემო ევროპელო მეგობარო,

მოგესალმები საქართველოდან! იმედია კარგად ხარ და მშვიდ გარემოში ცხოვრობ. დიდი სურვილი მაქვს, რომ გაგიზიარო ჩემი პატარა ქვეყნის დიდი ისტორია - გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე.

საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ მისი ისტორია მრავალსაუკუნოვანია და სავსეა ბრძოლებითა და თავდადებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გზა რთული, მაგრამ შთამაგონებელი ისტორიაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა და დიდ მსხვერპლსა და თავდადებასთან იყო დაკავშირებული. საქართველო ისტორიულად მრავალჯერ დაუპყრიათ: ჯერ არაბებს, შემდეგ მონღოლებს, ოსმალებს და სპარსელებს. მიუხედავად ყველაფრისა ქართველმა ხალხმა შეძლო თავისი ენის კულტურისა და სარწმუნოების შენარჩუნება.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და ეს გაგრძელდა 1918 წლამდე.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღე დადგა - გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. თუმცა დამოუკიდებლობა მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა და 1921 წელს ქვეყანა კვლავ საბჭოთა კავშირის ნაწილი გახდა. მთელი 70 წლის განმავლობაში საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა იყო.

ხალხი ცხოვრობდა აკრძალვისა და პოლიტიკური ზეწოლის პირობებში. მიუხედავად ამისა, ეროვნული თვითშეგნება არ ჩამქრალა. ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია თავისუფლების დაკარგვას.

1980-იანი წლებიდან ჩემს ქვეყანაში დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებლობისკენ. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 1989 წელს, როცა 9 აპრილს საბჭოთა ჯარები თბილისში მშვიდობიან დემონსტრანტებს სასტიკად გაუსწორდნენ.

სწორედ ამ დღეს გარდაცვლილთა ხსოვნა გახდა მომავალი დამოუკიდებლობის სიმბოლო.

ზუსტად ამ ტრაგიკული დღიდან ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირისგან. თუმცა დამოუკიდებლობის

მოპოვება არ ნიშნავდა სიმშვიდეს. ქვეყანა აღმოჩნდა მძიმე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში. იყო შეიარაღებული კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, შდა დაპირისპირებები და მძიმე სიღარიბე.

მიუხედავად ყველაფრისა საქართველომ გადალახა ეს სირთულეები და დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, განმტკიცდა სახელმწიფო სტრუქტურები.

თუმცა უნდა გითხრა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება მხოლოდ დასაწყისია. ამის შემდეგ იწყება ყველაზე რთული - თავისუფალი საზოგადოების აშენება.

თავისუფლება მხოლოდ ფიზიკური საზღვრების დაცვა არ არის. ეს არის მოქალაქეების თავისუფლება - აზრის გამოხატვა, რწმენის, სიტყვის, სწავლებისა და ღირსეული ცხოვრების უფლება.

მე, როგორც ერთ-ერთი ახალგაზრდა ქართველთაგანი, განსაკუთრებით ვგრძნობ პასუხისმგებლობას ამ გზაზე. ვცდილობ განათლებით, აქტიურობით და პატიოსნებით შევიტანო ჩემი წვლილი ამ პროცესში.

ახლა კი, მინდა გკითხო როგორია თავისუფლების განცდა შენს ქვეყანაში? რას ნიშნავს შნთვის დამოუკიდებლობა? ცხოვრობთ თუ არა ისე, რომ თითოეულ ადამიანს შესაძლებლობა აქვს, იყოს საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია.

ვფიქრობ, ჩვენ - ახალგაზრდებს ერთად შეგვიძლია ავაშენოთ სამყარო, სადაც თავისუფლება არა მხოლოდ კანონში, არამედ გულებში იქნება.

ჩვენ ერთმანეთისგან განსხვავებულ ქვეყნებში ვცხოვრობთ, მაგრამ საერთო ოცნებები გვაერთიანებს.

გეპატიჟებით საქართველოში, იმედია ჩამოხვალ. ახლა კი გემშვიდობები.

ანა სანიკიძე